

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
(ხელნაწერის უფლებით)

მარინა დიასამიძე

დისერტაციის დასახელება:

**უცხოური ინვესტიციების როლი ქართული ბიზნესის
განვითარებაში**

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება. შიფრი – 02

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების
დეპარტამენტში

ხელმძღვანელი:

ბესიკ ბარკალაია

ეკონომიკის დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

რეცენზენტები:

1. -----

2. -----

დაცვა შედგება 2016 წლის „-----“, „-----“, „-----“, საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი ----- აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის ფაკულტეტის
ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი

ს.ხიზანიშვილი

Abstract

Dissertation of Marina Diasamidze - "Role of Foreign Investments in Georgian Business Development" refers to the urgent problem facing Georgia and the rest of the developing world. The paper consists of 152 pages and according to the instructions for formatting the dissertation submitted to obtain the Doctoral degree it includes: a cover page, pages of signatures and copyright, abstract in Georgian and English, table of content, lists of diagrams and tables; the main text consists of introduction, literature review, results and their review, conclusion and bibliography.

Introductory part of the present paper introduces the actuality of the research topic, justifies it and examines existing situation with regards to the exploration of the issue, as well as the research subject, object and goals are determined. It reflects the objectives fulfilled to achieve the mentioned goal and the theoretical-methodological grounds of the research. It justifies the novelty of the research, the value of its theoretical and practical application, the scientific novelty of the work, approbation and publications.

In the section of literature review we provide those well known Georgian and foreign literature that refer and overview the problems stated in the dissertation, the alternative methods and ways of solving them.

Discussion of the results consists of three chapters:

In the first chapter of the dissertation - Theoretical-Methodological Aspects of Foreign Investments and Development Features in Georgia - we reviewed and studied the role of investments, the theoretical problems of investing activities and functions of money, means of its accumulation and utilization and goals that were closely linked to the approaches of researchers of antique period (D. Hume, D. Lo, J. Colbert, L. Zekendorf and etc.) toward investments. Also, studies by mercantilists, and later on by physiocrats, by representatives of classical political economy and John Maynard Keynes regarding development of key principles of investment theory that have significantly enhanced the scope of review of investments and for the first time have sharply differentiated the notions of capital and money. They determined the role of accumulation of capital in forming the investment resources, discussed the role of credit money in development of investments, that consequently create the grounds for researches of international migration of investments. Approaches of J. M. Keynez toward the state regulation methodology, effectiveness of regulation and links to the existing and expected conjuncture of investment market, inflation rates, and national revenue increase rates. The approaches how could be used this or that state regulation system, among them different methods of monetary-credit and financial, and taxation policy.

Besides, we studied and reviewed the "neighborhood" investment opportunities for Georgia, that aims at support of infrastructural projects by EU financial institutions within the countries participating in the EU neighborhood policy. The mentioned program determined the priorities and supportive conditions related to investments. This fact will have positive impact on activities of each EU citizen as well as on the goals of the larger companies. Such attitude within the European cooperation plays the key role and presumably, will enhance its role in future in development of the fields such as: financial cooperation, labor distribution and harmonization of procedures. The mentioned role facilitates increase of effectiveness and productivity and the fruitful

results of European cooperation. Based on their nature how the foreign investments support to the further development of the country, provide resources to the country such as technologies, management know-how, qualified workforce, links to the international entrepreneur network and key markets and use of popular trademarks.

The second chapter of the paper - Features of Business formation and development in Georgia - we analyzed and reviewed the essence of business, its history, functions and system. In particular, the views and attitudes of the world's well known researchers at different stages of the business history with regards to establishment of forms of the economic activities - business at different time periods. Besides, we provide analysis of starting business processes, passed stages, attitudes, problems and development of future, rather organized forms in Georgia. Furthermore, the trends of forming and development of business environment in Georgia, where we provide attitudes toward further deepening of business processes. Further, by using the visual material we provide the analysis of processes taking place in Georgia in different periods that are linked to the business forms, types of ownership, organizational-legal forms, preliminary assessments of economic growth and etc. of the period of 2011-2015.

The third chapter of the paper - Formation of the investment environment to attract foreign investments and determination of business factors in Georgia - we studied and elaborated relevant principles and priorities necessary for state regulation of the investment environment that are directly connected with formation and process of implementation of the state investment policy. The ways of regulation of direct foreign investments together with consolidation of internationalization and globalization of world's economy and with enhancement of the significance of foreign investments in national economies. State system for business support in Georgia that is directly related with market institutes of civil society.

Based on above it is determined that the effectiveness of the institutes efforts commensurate with the self-regulation of business and the economy as a whole. The less the state intervenes the higher the competitiveness of the national economy. The importance of creation of a middle class in line with the development of small and medium sized businesses is determined. Besides, we refer to the necessity of improvement of taxation system in order to achieve economic growth.

We provide economic-mathematical model for determination of general impact of direct foreign investments and business effectiveness factors upon the national economy and business environment. We provide new component in GDP multiplier and determine the interrelation by means of this form, where it is possible to calculate the secondary impact of effectiveness upon the national economy as a result of a selected, the most optimal version of investments' impact on business environment.

Thereby, examining of the research topic showed that targeted allocation of investments in the country and their further management can significantly improve the business environment that itself is a prerequisite for qualitative strengthening of economy.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შემდგომ, მისგან გამოწვეულ

ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მისი სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირება რამაც, უნდა უზრუნველყოს მისგან მაქსიმალურად ეფექტიანი შედეგების მიღება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ინვესტიციების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით უზრუნველყოფა. სახელმწიფოსათვის ინვესტიციების განთავსებას მაშინ აქვს ეფექტი თუ კი, ქვეყანაში შექმნილია ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა და სადაც, სახელმწიფო ქმნის ინვესტიციების განთავსების ოპტიმალურ გარემოს, შედეგად კი, ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, იზრდება საექსპორტო ტვირთბრუნვა და სხვ.

ბიზნესი, როგორც ადამიანის საქმიანობა ეკონომიკური სარგებლის მისაღებად თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის და უშუალოდ მიმართულია ადამიანების კეთილდღეობის მისაღწევად. მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რიგმა მეცნიერ-მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს ბიზნესის გაგების თავიანთი ხედვები და დამოკიდებულებები, მისი არსი, ფუნქციები, და ბიზნესი დააკავშირეს ადამიანების ფსიქოლოგიასთან, საწარმოს აღჭურვასთან და ა.შ. ამგვარად, იგი დღეს ფუნქციონირებს როგორც სისტემა.

საქართველოს გააჩნია საკმარისი რესურსული პოტენციალი იმისათვის, რომ მისი გამოყენებით რეალურად წარმოიქმნას ახალი ბიზნესები და ეს პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდეს, შედეგად კი, ხელი შეუწყოს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ნაშრომში განხილულია მეცნიერ-მკვლევართა მიერ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ინვესტიციების არსი, მნიშვნელობა, დამოკიდებულებები, თანამედროვე თეორიები, თავისებურებები, ქვეყანაში მისი განთავსებისათვის საჭირო მიდგომები, ბიზნესის არსი, ისტორია და ფუნქციები.

გაანალიზებულია ბიზნეს გარემოს განვითარების ტენდენციები საქართველოში, კერძოდ: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2011-2015 წლების მიხედვით; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2011-2015 წლების დინამიკა საქართველოში კვარტალების მიხედვით; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2011-2015 წწ.; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2015 წწ;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროკავშირის, დანარჩენი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით 2011-2015 წწ. საქართველოში 2011-2015წწ-ში ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობა; 2011-2015წწ-ში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა; 2011-2015წწ-ში ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა რაოდენობა; ბიზნეს რეგისტრი - საქმიანობის სახეების მიხედვით (2016 თებერვლისათვის); საკუთრების ფორმების მიხედვით; რეგიონების მიხედვით; ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით; მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2011-2015წწ-ში; მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა პროცენტებში 2011-2015წწ-ში; ბიზნესის არსებული მდგომარეობა საქართველოში; განხილულია საინვესტიციო გარემოს მოწესრიგების რეგულირების გზები; ჩამოყალიბებული და შექმნილია ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა საქართველოში და ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

აღნიშნული მიდგომები განაპირობებს ბიზნეს გარემოს თანამედროვე ფორმირებისათვის ახლებურ მიდგომებს და რამაც, მომავალში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს – გამოჩენილ მეცნიერთა და ცნობილ ეკონომისტთა ფუნდამენტური გამოკვლევები; სხვადასხვა მკვლევართა ანალიტიკური ნაშრომები ინვესტიციებისა და ბიზნესის საკითხებზე; საქართველოს მთავრობის საპროგრამო დოკუმენტები; პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები; საქსტატისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები და ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

ანალიზის, სინთეზის, ემპირული განზოგადების, ლოგიკური თანაფარდობის, სტატისტიკური დაჯგუფებებისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს – უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, მისი დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი ბიზნეს გარემოში.

კვლევის საგანს წარმოადგენს – უცხოური ინვესტიციების გავლენით ბიზნეს გარემოს ფორმირება და განვითარების პერსპექტივები თავისი თანმდევით

პროცესებით, საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მთლიანობაში, ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში.

კვლევის მიზანი და ამოცანები – კვლევის მიზანია საქართველოს ბიზნეს გარემოს განვითარებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავება, რაც ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. კვლევის მიზნის მიღწევას განაპირობებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ბიზნეს გარემოს ეკონომიკური ანალიზი;
- ბიზნეს გარემოს განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების შესწავლა;
- განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შედარებითი ანალიზის შესწავლა;
- ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარების ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენა და აღმოფხვრა;
- ქვეყნის ბიზნეს გარემოს გასააქტიურებლად აუცილებელი რეგულაციების შემოღება;
- ბიზნეს გარემოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უცხოური ინვესტიციების ყველა რეგულირებადი მექანიზმებით უზრუნველყოფა;
- ბიზნეს გარემოს განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების ოპტიმალური განთავსება დარგების მიხედვით;
- ბიზნეს გარემოს განვითარებისათვის ინდიკატორული მექანიზმების შემოღება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე – კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- გაანალიზებულია ბიზნეს გარემოს ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში;
- შემუშავებული და ჩამოყალიბებულია ქვეყნის ბიზნეს გარემოს ოპტიმალური ფუნქციონირების ავტორისეული ხედვა;
- შემუშავებულია საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი პრინციპები და პრიორიტეტები, რაც

პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და წარმართვის პროცესთან;

- გამოკვლეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების გზები და მასთან კავშირში, ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა საქართველოში;
- შემუშავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების საერთო გავლენის განსაზღვრის მექანიზმები ქვეყნის ეკონომიკაზე;
- შემუშავებულია ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი;
- შემუშავებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ახალი ელემენტის შემოტანა და ამ ფორმით, ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრა. სადაც, შერჩეული, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან შესაძლებელია ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაზე ეფექტიანობის მეორადი გავლენის გაანგარიშება.

სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა – კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დებულებები, ანალიტიკური და ფაქტობრივი მასალა, წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მეცნიერების მიერ, რომლებიც მუშაობენ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე. ასევე, საქართველოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირების მიერ რომლებიც ეწევიან სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას. ყველა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი რომლებიც ეწევიან ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმიანობას საქართველოში ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად.

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა ჩამოყალიბებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და განვითარების თავისებურებები საქართველოში

- 1.1. ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა
- 1.2. ინვესტიციების ტანამედროვე თეორიები და თავისებურებები
- 1.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განთავსების სტრატეგია საქართველოში.

თავი 2. ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში

- 2.1. ბიზნესის არსი, ისტორია და ფუნქციები
- 2.2. ბიზნესის არსებული მდგომარეობა საქართველოში
- 2.3. ბიზნეს გარემოს განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში

თავი 3. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირება და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრა საქართველოში

- 3.1. საინვესტიციო გარემოს ფორმირება და მოწესრიგების სახელმწიფო რეგულირება
 - 3.1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების გზები
 - 3.1.2. უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება
- 3.2. ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა საქართველოში
- 3.3. უცხოური ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი ეხება უცხოური ინვესტიციების როლს ქართული ბიზნესის განვითარებაში. საკითხი წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა განვითარებად ქვეყნებში.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში – უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და განვითარების თავისებურებები

საქართველოში – განხილული და გაანალიზებულია ინვესტიციების როლი, საინვესტიციო საქმიანობის თეორიული პრობლემები და ფულის ფუნქციები, მათი დაგროვებისა და გამოყენების ხერხები და მიზნები, რაც მჭიდროდ უკავშირდებოდა ანტიკური ხანის მკვლევარების ინვესტიციებისადმი მათ მიდგომებს. აგრეთვე, მერკანტილისტების, შემდგომ კი, ფიზიოკრატების, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებისა და სხვათა (კეინზი, ჰაიეკი და სხვ.) კვლევები დაკავშირებული ინვესტიციების თეორიის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებასთან და რომლებმაც მნიშვნელოვნად გააღრმავეს ინვესტიციების განხილვის არე და პირველად გამიჯნეს მკვეთრად ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვრეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში, განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში და საიდანაც, საფუძველი ჩაეყარა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევას. მათი მიდგომები სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდებთან, რეგულირების ეფექტიანობასთან და კავშირში ინვესტიციის ბაზრის არსებულ და მოსალოდნელი კონიუნქტურასთან, ინფლაციის ტემპებთან, უმუშევრობის დონესთან და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებთან. მიდგომები თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოებრივი რეგულირების ესა თუ ის მექანიზმები, მათ შორის, ფულად-საკრედიტო, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის განსხვავებული მეთოდები.

ნაშრომში, ასევე განხილული და შესწავლილია საქართველოსთვის „სამეზობლო“ საინვესტიციო შესაძლებლობა, რაც მიზნად ისახავს სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებში ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერას ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტებიდან. ამ პროგრამით განისაზღვრა ის პრიორიტეტები და ხელშემწყობი პირობები, რომლებიც ინვესტირებასთანაა დაკავშირებული. ეს დამოკიდებულება ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში მთავარ როლს ასრულებს და შემდგომში უფრო დიდ როლს ითამაშებს ისეთ სფეროებში, როგორცაა: ფინანსური თანამშრომლობა, შრომის გადანაწილება და პროცედურების ჰარმონიზაცია. აღნიშნული როლი განაპირობებს ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდას და ევროპული

თანამშრომლობის ნაყოფიერ შედეგებს. განხილულია ასევე, თავისი ბუნებიდან გამომდინარე უცხოური ინვესტიციები როგორ უწყობს ხელს ქვეყნის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყოფს ქვეყანას რესურსებით, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან, მმართველობით ნოუ-ჰაუ-თან, კვალიფიციური სამუშაო ძალასთან, საერთაშორისო სამეწარმეო ქსელში და ძირითად ბაზრებში ჩართვასა და პოპულარული სავაჭრო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მეორე თავში – ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში – გაანალიზებულია ბიზნესის არსი, ისტორია, ფუნქციები და სისტემა. კერძოდ, ბიზნესის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიოს გამოჩენილი მკვლევარების აზრები და დამოკიდებულებები, დროის სხვადასხვა პერიოდში დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის – ბიზნესის ფორმების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საქართველოში ბიზნეს პროცესების დაწყების, განვლილი ეტაპების, დამოკიდებულებების, პრობლემებისა და შემდგომი, გარკვეულწილად, მოწესრიგებული ფორმების ჩამოყალიბების ანალიზი. გარდა ამისა, ბიზნეს გარემოს ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები საქართველოში, სადაც, გამოთქმულია დამოკიდებულებები ბიზნეს პროცესების კიდევ უფრო გაღრმავებისა. ვიზუალური მასალის გამოყენებით მოყვანილია სხვადასხვა პერიოდებში საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი დაკავშირებული 2011 – 2015 წწ-ში ბიზნეს საქმიანობის სახეებთან, საკუთრების ფორმებთან, ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან, ეკონომიკური ზრდის წინასწარ შეფასებასთან და სხვ.

ნაშრომის მესამე თავში – უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირება და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრა საქართველოში – გამოკვლეულია და შემუშავებულია საინვესტიციო ჰგარემოს სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი პრინციპები და პრიორიტეტები, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და წარმართვის პროცესთან. მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებასა და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის მატებასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

რეგულირების გზები. ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა საქართველოში, რაც პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო საზოგადოების საბაზრო ინსტიტუტებთან. გამომდინარე აქედან, დადგენილია, რომ რაც უფრო ეფექტურია აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობა, მით უფრო თვითრეგულირებადია ბიზნესი და მთლიანობაში, ეკონომიკა. რაც უფრო ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი მით მაღალია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. განსაზღვრულია, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, საშუალო კლასის ჩამოყალიბების მნიშვნელობა. ასევე, გადმოცემულია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მისაღწევად საგადასახადო სისტემის დახვეწის აუცილებლობა. შემუშავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების, საერთო გავლენის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაზე და ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ახალი ელემენტის შემოტანა და ამ ფორმით ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრა. სადაც, შერჩეული, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან შესაძლებელია ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაზე, ეფექტიანობის მეორადი გავლენის გაანგარიშებაა. აღნიშნული მოდელი შემდეგნაირად გამოისახება:

ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ელემენტების ურთიერთ დამოკიდებულების განსაზღვრა. შერჩეული, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაზე ეფექტიანობის მეორადი გავლენის გათვლა.

აღნიშნული მოდელი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

მოსაძებნია X, Y ცვლადები, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობას

$$x_{Bi}(ad) > 0 \text{ და } y_E \longrightarrow \min \dots \dots \dots (1)$$

უცხოური ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის შედეგად, ქვეყანაში შემოსავლების განსაზღვრისათვის შემოვიტანოთ მულტიპლიკატორი შემდეგი სახით:

$$K = xBi(ad) - yE / (mp + mi + mt) \dots\dots(2)$$

სადაც,

x, y – არის ცვლადები

K – არის მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის კოეფიციენტი

$Bi(ad)$ – არის საერთო ინვესტიციების შედეგად ბიზნეს გარემოში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

Bai – არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად, ბიზნეს გარემოში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

Bdi – არის ადგილობრივი ინვესტიციების შედეგად, ბიზნეს გარემოში წარმოებული პროდუქცია ღირებულებაში გამოხატული

$$Bi(ad) = Bai + Bdi \dots\dots\dots(3)$$

E – არის იმპორტულ პროდუქციაზე (საქონელი, მომსახურება) გაწეული დანახარჯები რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში განთავსებულ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციასთან

mp – არის გადასახადის გადახდისადმი ზღვრული მიდრეკილება დაკავშირებული ქვეყანაში განთავსებულ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციასთან

mi – არის იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება დაკავშირებული ქვეყანაში განთავსებულ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციასთან

mt – არის დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება დაკავშირებული ქვეყანაში განთავსებულ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციასთან

$$\text{თუ კი, } y^E \longrightarrow \max \dots\dots\dots (4)$$

$$\text{მაშინ, } Bi(ad) \longrightarrow \min \dots\dots\dots (5)$$

$$mp \longrightarrow \min \dots\dots\dots(6)$$

$$mi \longrightarrow \max \dots\dots\dots(7)$$

$$mt \longrightarrow \min \dots\dots\dots(8)$$

აღნიშნული ასახავს შემდეგს, როდესაც ადგილი აქვს მე (4) დამოკიდებულებას, მაშინ მცირდება ინვესტიციების ზეგავლენით ბიზნეს გარემოში საბრუნავი ფულადი სახსრებისა და შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის მოცულობა, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ქვეყნიდან გაედინება ფულადი სახსრები და სხვა ქვეყნების ეკონომიკაში იწყებს ბრუნვას. რაც მეტი ფულადი სახსრები გაედინება ქვეყნიდან, მით ნაკლები პროდუქცია იწარმოება ქვეყნის ბიზნეს გარემოში. შესაბამისად, ადგილი ექნება მე (7) დამოკიდებულებას და გვიჩვენებს, რომ რაც მეტია იმპორტული საქონელი ქვეყანაში, მით მეტია მისი მოხმარება. მე (8) დამოკიდებულება მიგვანიშნებს დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების შემცირებას, რაც გამოწვეულია ბიზნეს გარემოში ფულადი სახსრების შემცირებით. მცირდება ასევე, გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა, ვერ ხდება ბიზნესის გაფართოება, აღარ იქმნება და მცირდება სამუშაო ადგილები და სხვ. შესაბამისად კი, ადამიანები ვეღარ ახერხებენ დანაზოგების შექმნას. მე (6) დამოკიდებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ თუ კი, ბიზნეს გარემოში მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა, შესაბამისად მცირდება გადასახადებიც (სახელმწიფო შემოსავლები).

$$\text{თუ კი, } y^E = 0 \dots\dots\dots(9)$$

$$\text{მაშინ, } Bi(ad) = \max \dots\dots\dots (10)$$

$$mp = \max \dots\dots\dots(11)$$

$$mi = 0 \dots\dots\dots(12)$$

$$mt = \max \dots\dots\dots(13)$$

ეს პირობა მისაღები არ არის, რადგან არ არსებობს ქვეყანა სადაც იმპორტი არ ხორციელდება გარკვეული მოცულობებით.

$$\text{თუ კი, } y^E \longrightarrow \min \dots\dots\dots (14)$$

$$\text{მაშინ, } B_i(ad) \longrightarrow \max \dots\dots\dots (15)$$

$$m_p \longrightarrow \max \dots\dots\dots(16)$$

$$m_i \longrightarrow \min \dots\dots\dots(17)$$

$$m_t \longrightarrow \max \dots\dots\dots(18)$$

ეს პირობა არის ყველაზე ოპტიმალური და ასახავს იმას, რომ იმპორტულ პროდუქციაზე გაწეული ხარჯები მცირდება შესაბამისად კი, მცირდება იმპორტისადმი ზღვული მიდრეკილება (17), დაზოგვისადმი (18) და გადასახადის გადახდისადმი (16) ზღვრული მიდრეკილებები კი იზრდება და მიისწრაფის მაქსიმუმისაკენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, ბიზნეს გარემოს ეფექტიანობის (მეორადი) გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შესაძლოა შემდეგნაირად გამოისახოს

$$F = K \times B_{ai} \dots\dots\dots(19)$$

სადაც,

F – არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, ქვეყნის ეკონომიკაზე ბიზნეს გარემოს ეფექტიანობის მაჩვენებელი.

აღნიშნულ მოდელში განხილულია ინვესტიციების საშუალებით, ბიზნეს გარემოს ფუნქციონირების სამი სხვადასხვა ვარიანტი და შერჩეულ იქნა ყველაზე ოპტიმალური (14), (15), (16), (17), (18) ვარიანტები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ კი, საჭირო იქნება ქვეყნის ეკონომიკაზე ბიზნეს გარემოს ეფექტიანობის მაჩვენებლის გაანგარიშება საერთო ინვესტიციებით (უცხოური+ადგილობრივი), მაშინ ეფექტიანობის მაჩვენებელი გამოისახება შემდეგნაირად:

$$F = K \times B_i(ad) \dots\dots\dots(20)$$

აღნიშნული მოდელი ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

ამგვარად, საკვლევი თემის დამუშავებამ ცხადყო, რომ ქვეყანაში ინვესტიციების მიზნობრივ განთავსებას და მის შემდგომ მართვას შეუძლია, ქვეყნის ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და რაც საწინდარია ეკონომიკის თვისობრივად გაჯანსაღების.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- 1) უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებთან და განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით, განხილული და გაანალიზებულ იქნა ინვესტიციების როლი, საინვესტიციო საქმიანობის თეორიული პრობლემები და ფულის ფუნქციები, მათი დაგროვების, გამოყენების ხერხები და მიზნები, რაც მჭიდროდ უკავშირდება ანტიკური ხანის მკვლევარების ინვესტიციებისადმი მათ მიდგომებს.
- 2) მერკანტილისტების, შემდგომ კი, ფიზიოკრატებისა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების კვლევებმა, დაკავშირებული ინვესტიციების თეორიის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებასთან, მნიშვნელოვნად გააღრმავეს ინვესტიციების განხილვის არე და პირველად გამიჯნეს მკვეთრად ფულისა და კაპიტალის ცნებები.
- 3) კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში. განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში და საიდანაც, საფუძველი ჩაეყარა ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევებს.
- 4) სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით ჯ.მ. კეინზის მიდგომები თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ესა თუ ის სისტემა, მათ შორის, ფულად-საკრედიტო, საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის განსხვავებული ფორმები სახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდებთან, რეგულირების ეფექტიანობასთან და კავშირში ინვესტიციის ბაზრის არსებულ და მოსალოდნელი კონიუნქტურასთან, ინფლაციის ტემპებთან, უმუშევრობის დონესთან და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებთან.

- 5) საქართველოსთვის „სამეზობლო“ საინვესტიციო შესაძლებლობა, მიზნად ისახავს სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებში ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტების მხარდაჭერას ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტებიდან. ამ პროგრამით განისაზღვრება ის პრიორიტეტები და ხელშემწყობი პირობები, რომლებიც ინვესტირებასთანაა დაკავშირებული, რაც დადებით გავლენას ახდენს როგორც თითოეული ევროპის მოქალაქის საქმიანობაზე, ასევე მსხვილი კომპანიების მიზნებზე.
- 6) დამოკიდებულება ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში მთავარ როლს ასრულებს და შემდგომში, უფრო დიდ როლს ითამაშებს ისეთ სფეროებში, როგორცაა: ფინანსური თანამშრომლობა, შრომის გადანაწილება და პროცედურების ჰარმონიზაცია. აღნიშნული როლი განაპრიობებს ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ზრდას და ევროპული თანამშრომლობის ნაყოფიერ შედეგებს.
- 7) თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყოფს ქვეყანას რესურსებით, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან, კვალიფიციური სამუშაო ძალასთან და საერთაშორისო ბაზრებში ჩართულობასთან.
- 8) ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით, აუცილებელია ბიზნესის არსის, ისტორიის, ფუნქციებისა და სისტემის ანალიზი. კერძოდ, ბიზნესის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიო გამოჩენილი მკვლევარების აზრები და დამოკიდებულებები, დროის სხვადასხვა პერიოდში დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის – ბიზნესის ფორმების ჩამოყალიბებასთან.
- 9) მნიშვნელოვანია საქართველოში ბიზნეს პროცესების დაწყების, განვლილი ეტაპების, დამოკიდებულებების, პრობლემებისა და შემდგომ, მოწესრიგებული ფორმების ჩამოყალიბების ანალიზი.
- 10) საქართველოში ბიზნეს გარემოს ფორმირებისა და განვითარების ტენდენციებთან დაკავშირებით, გამოთქმულია მოსაზრებები ბიზნეს პროცესების კიდევ უფრო გაღრმავებისა.
- 11) ვიზუალური მასალის გამოყენებით დადგენილია სხვადასხვა პერიოდებში საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი დაკავშირებული 2011 – 2015 წწ.

ბიზნეს საქმიანობის სახეებთან, საკუთრების ფორმებთან, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებთან, ეკონომიკური ზრდის წინასწარ შეფასებასთან და სხვ.

12) უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირებასთან და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირებისათვის საჭირო შესაბამისი პრინციპებისა და პრიორიტეტების შემუშავება, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და წარმართვის პროცესთან.

13) მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებასა და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის მატებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ბერკეტების არსებობა.

14) საქართველოში ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო საზოგადოების საბაზრო ინსტიტუტებთან.

15) მნიშვნელოვანია დამოკიდებულებები, რომ რაც უფრო ეფექტურია საბაზრო ინსტიტუტების საქმიანობა, მით უფრო თვითრეგულირებადია ბიზნესი და მთლიანობაში, ეკონომიკა. რაც უფრო ნაკლებია სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი მით მაღალია ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა.

16) მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საშუალო კლასის ჩამოყალიბება, ასევე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მისაღწევად საგადასახადო სისტემის დახვეწის აუცილებლობა.

17) პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების საერთო გავლენის განსაზღვრისათვის ქვეყნის ეკონომიკაზე, მნიშვნელოვანია ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე გავლენის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი.

18) ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია მთლიანი შიდა პროდუქტის მულტიპლიკატორის შემადგენელი ახალი

ელემენტის შემოტანა და სადაც, შერჩეული, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტიდან შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების ბიზნეს გარემოზე და მთლიანად, ქვეყნის ეკონომიკაზე, ეფექტიანობის მეორადი გავლენის გაანგარიშებაა.

19) ქვეყანაში ინვესტიციების მიზნობრივად განთავსებას და მის შემდგომ მართვას შეუძლია, ქვეყნის ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაჯანსაღება და რაც საწინდარია ეკონომიკის თვისობრივად განვითარების.

ნაშრომის აპრობაცია – სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები, ავტორის მიერ ასახულ იქნა კოლოქვიუმებში, სემინარებსა და გამოქვეყნებულ სტატიებში შემდეგი თანმიმდევრობით:

1. კოლოქვიუმი – უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და განვითარების თავისებურებები საქართველოში – 10.02.2015.
 2. კოლოქვიუმი – ბიზნესის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებები საქართველოში - 4.07.2015.
 3. კოლოქვიუმი – უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საინვესტიციო გარემოს ფორმირება და ბიზნესის ეფექტიანობის ფაქტორების განსაზღვრა საქართველოში. 14.02 2016.
1. სემინარი – საინოვაციო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. 9.02.2015.
 2. სემინარი – საკუთრების დაცვის კანონიერი საფუძვლები. 7.07.2015.

ცალკეული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია შემდეგ რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში:

1. **დიასამიძე მ., ვაშაკიძე ზ., კელენჯერიძე მ.** – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პერსპექტივები. ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2014. გვ. 6–13.
2. **დიასამიძე მ., ვაშაკიძე ზ., თოფჩიშვილი მ.** – ფუნქციური ურთიერთქმედება სერვისულ მენეჯმენტში. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, I რეგიონული სიმპოზიუმი თემაზე "საკრუიზო ტურიზმი - მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში". შრომები - IV, ბათუმი. 30. აპრილი, 2014. გვ.182-190.

3. **დიასამიძე მ., ვაშაკიძე ზ., , ვაშაკიძე ა.** – ინვესტიციის თანამედროვე თეორიები და თავისებურებები. „სოციალური ეკონომიკა“, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. №5 (35), 2014. გვ. 25-30.
4. **დიასამიძე მ., ვაშაკიძე ზ., , ვაშაკიძე ა.** – საქართველოს ეკონომიკა და ეროვნული ინტერესები. „ეკონომიკა“. №10-12, 2014. გვ.27-34.
5. **დიასამიძე მ.** – ბიზნესის ახალი წარმონაქმნები საქართველოს პირობებში. „ბიზნეს ინჟინერინგი“. №2, 2015. 54-56გვ.
6. **დიასამიძე მ.** – ტურისტული ბიზნეს გარემოს ფორმირება, ბაზარი და მარკეტინგული თავისებურებები. საერთაშორისო სამეცნიერო -პრაქტიკული კონფერენცია – ტურიზმის განვითარების ტენდენციები: პრობლემები და პერსპექტივები. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU. თბილისი. 07–08 მაისი 2016. გვ.46–52.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა – ნაშრომი შედგება 152 გვერდისაგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: სატიტულო, ხელნაწერებისა და საავტორო უფლებების გვერდებს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართული, ინგლისური), შინაარს (სარჩევს), სქემებისა და ცხრილების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგებისა და მათი განსჯის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.